

საპრედიტო პირობების კვლევა

I კვარტალი, 2025



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საკრედიტო პირობების კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

საქართველოს ეროვნული ბანკი 2013 წლიდან ატარებს საკრედიტო პირობების კვლევას. გამოკითხვა ონლაინ პლატფორმის საშუალებით ტარდება, ხოლო რესპოდენტებს საბანკო სექტორის მაღალი რგოლის მენეჯერები წარმოადგენენ. კვლევის მიზანს რესპოდენტებისაგან დაკრედიტების მიმდინარე და სამომავლო ტენდენციებზე ინფორმაციის მიღება წარმოადგენს. კერძოდ, კვლევა მოიცავს კითხვებს ფიზიკური და იურიდიული პირების სესხებზე მოთხოვნისა და დაკრედიტების საპროცენტო და არასაპროცენტო პირობების ცვლილებაზე, ასევე კითხვებს ამ ცვლილების გამომწვევი ფაქტორების შესახებ.

კითხვარი შედგება მხოლოდ ხარისხობრივი შეკითხვებისაგან და არ მოითხოვს რესპოდენტთა მხრიდან რაოდენობრივ შეფასებას. ინფორმაციის რაოდენობრივ ერთეულებში გარდაქმნისათვის გამოყენებულია საბალანსო სტატისტიკის მეთოდოლოგია. ინდექსი მერყეობს -100-დან 100-მდე. 100 აღნიშნავს, რომ გამოკითხულთა 100% აღიქვამს ტენდენციის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ინდექსი -100 აღნიშნავს, რომ რესპოდენტთა 100% მნიშვნელოვან გაუარესებას აღიქვამს. 0 აღნიშნავს, რომ ტენდენცია არ შეცვლილა გასულ კვარტალთან შედარებით. ინდექსის დათვლისას რესპოდენტთა პასუხებს თანაბარი წონა აქვთ მინიჭებული, განურჩევლად ბანკის ზომისა.

გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ყოველ კვარტალურად ქვეყნდება ანგარიში. გარდა კვლევის საბოლოო შედეგებისა, აღნიშნული ანგარიში მოიცავს ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას დაკრედიტების ტენდენციების შესახებ.

ამ ანგარიშში წარმოდგენილი მოლოდინები ასახავს მხოლოდ საკრედიტო პირობების კვლევის რესპოდენტთა შეფასებას დაკრედიტების მომავალ ტენდენციაზე და არა ეროვნული ბანკის წარმომადგენელთა მოლოდინებს.

საკრედიტო პირობების კვლევა

მოკლე შეჯამება	4
ბიზნესის დაკრედიტების პირობები და ტენდენციები	5
ფიზიკური პირების დაკრედიტების პირობები და ტენდენციები	9
დიაგრამა 1. ბიზნეს სესხების მოთხოვნისა და საკრედიტო პირობების ცვლილება.....	5
დიაგრამა 2. ბიზნეს სესხების საკრედიტო პირობების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები.....	6
დიაგრამა 3. საპროცენტო განაკვეთები და საკონტრაქტო ვადიანობა ბიზნეს სესხებზე.....	7
დიაგრამა 4. ბიზნეს სესხებში უმოქმედო და უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი	8
დიაგრამა 5. ფიზიკური პირების სესხებზე მოთხოვნისა და საკრედიტო პირობების ცვლილება	9
დიაგრამა 6. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების დაკრედიტების პირობების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები	10
დიაგრამა 7. სესხის მომსახურებისა (PTI) და უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტების განაწილება.....	10
დიაგრამა 8. ფიზიკურ პირებზე გაცემულის სესხების საპროცენტო განაკვეთები და საკონტრაქტო ვადიანობა	11
დიაგრამა 9. უმოქმედო და უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებში	12

მოკლე შეჯამება


საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, 2025 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ბიზნეს სესხებზე მოთხოვნა გაიზარდა. საბანკო სექტორის წარმომადგენლები 2025 წლის მეორე კვარტალში ბიზნეს სესხებზე მოთხოვნის მცირედ ზრდას კვლავ მოელიან. ამავე კვლევის მიხედვით, 2025 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, დაკრედიტების პირობები ბიზნეს სესხებისთვის გამკაცრდა. საბანკო სექტორის წარმომადგენლები მომდევნო კვარტალში საკრედიტო პირობების ცვლილებას არ მოელიან. გარდა ამისა, რესპოდენტების აზრით, მომდევნო კვარტალში საპროცენტო განაკვეთები ბიზნეს სესხებზე შესაძლოა მცირედით გაიზარდოს.

საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, 2025 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნა მცირედით გაიზარდა. რესპოდენტების აზრით, მომდევნო კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნის ზრდა კვლავ მოსალოდნელია. კვლევის მიხედვით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის დაკრედიტების პირობები უმნიშვნელოდ გამკაცრდა. რესპოდენტები მომდევნო კვარტალში დაკრედიტების პირობების ცვლილებას არ მოელიან. საბანკო სექტორის წარმომადგენელთა აზრით, მომდევნო კვარტალში იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთების მცირედით ზრდაა მოსალოდნელი.

ბიზნესის დაკრედიტების პრობები და ტენდენციები

საკრედიტო პრობების კვლევის მიხედვით, 2025 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ბიზნეს სესხებზე მოთხოვნა გაიზარდა. საბანკო სექტორის წარმომადგენლები 2025 წლის მეორე კვარტალში ბიზნეს სესხებზე მოთხოვნის მცირედ ზრდას კვლავ მოელოან. ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2025 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ბიზნეს სესხების პორტფელის ზრდამ 13.3%¹ შეადგინა. ბიზნეს სესხების ზრდაში უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებს ადგილობრივთან შედარებით მეტი წვლილი შეჰქონდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიზნეს სესხების ზრდა სექტორულ ჭრილში ძირითადად კომერციული საქმიანობისა და სოფლის მეურნეობის სექტორების დაკრედიტებამ განაპირობა. საკრედიტო პრობების კვლევის მიხედვით, 2025 წლის მეორე კვარტალში საბანკო სექტორის წარმომადგენლები ბიზნეს სესხებზე მოთხოვნის მცირედ ზრდას მოელოან (იხ. დიაგრამა.1).

დიაგრამა 1. ბიზნეს სესხების მოთხოვნისა და საკრედიტო პრობების ცვლილება²



წყარო: საკრედიტო პრობების კვლევა, სეზ.

2025 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, დაკრედიტების პრობები ბიზნეს სესხებისთვის გამკაცრდა. რესპოდენტები დაკრედიტების პრობების გამკაცრებას ძირითადად ეკონომიკური ტენდენციების ცვლილებას, ფინანსური რესურსის ხარჯის ზრდასა და რისკისადმი მიდრეკილების შერბილებასა უკავშირებენ (იხ. დიაგრამა 2). ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ


¹ აღნიშნული მონაცემი ასახავს გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სეზონურად შესწორებული სესხების გაწლიურებულ ზრდას.

² საკრედიტო პრობებისა და მოთხოვნის ცვლილების ინდექსი მერყეობს -100-დან 100-მდე. 100 აღნიშნავს, რომ რესპოდენტების 100% აღიქვამს ტენდენციის მნიშვნელოვან გამკაცრებას/ზრდას; -100 აღნიშნავს მნიშვნელოვან შერბილებას/შემცირებას; 0 აღნიშნავს, რომ ტენდენცია არ შეცვლილა გასულ კვარტალთან შედარებით. 2025Q2* ასახავს საბანკო სექტორის წარმომადგენლების მოლოდინებს 2025 წლის მეორე კვარტალზე.

მონაცემებზე დაყრდნობით, ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხებისათვის ვადიანობა მცირედით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში აღნიშნული არ შეცვლილა (იხ. დიაგრამა 3). საბანკო სექტორის წარმომადგენლები მომდევნო კვარტალში საკრედიტო პირობების ცვლილებას არ მოელოან.

ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მარტში, დეკემბერთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთი თვის შიგნით ეროვნული ვალუტით გაცემულ მსხვილ ბიზნეს სესხებზე 0.4 პპ-ით 12.9%-მდე გაიზარდა. მარტში, დეკემბერთან შედარებით, თვის შიგნით ევროთი გაცემული მსხვილი ბიზნეს სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთი მცირედით 8.5%-მდე შემცირდა, ხოლო დოლარით გაცემული სესხებისათვის აღნიშნული 0.1 პპ-ით 9.6%-მდე გაიზარდა. მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებისთვის, მარტში, დეკემბერთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ვალუტით გაცემული სესხებისთვის 0.4 პპ-ით 13.9%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებს, ევროთი გაცემული სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 7.8% შეადგინა, ხოლო დოლარით გაცემული სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთი, 0.2 პპ-ით 9.1%-მდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა 3). რესპოდენტთა პასუხებზე დაყრდნობით, მცირედით გაიზარდა განაკვეთი ფიქსირებული განაკვეთით გაცემულ ლარისა და უცხოური ვალუტის სესხებზე. გამოკითხულთა აზრით, მომდევნო კვარტალში საპროცენტო განაკვეთები ბიზნეს სესხებზე შესაძლოა მცირედით გაიზარდოს.


დიაგრამა 2. ბიზნეს სესხების საკრედიტო პირობების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები ³



წყარო: საკრედიტო პირობების კვლევა

³ დიაგრამა საკრედიტო პირობების ცვლილებაში თითოეული ფაქტორის წილს ასახავს. დადებითი წილი მიუთითებს ფაქტორის წილს გამკაცრებაში, ხოლო უარყოფითი შერბილებაში.

დიაგრამა 3. საპროცენტო განაკვეთები და საკონტრაქტო ვადიანობა ბიზნეს სესხებზე ⁴



წყარო: სეზ.

2025 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უმოქმედო სესხების წილი ბიზნეს სესხებში უმნიშვნელოდ გაიზარდა.⁵ პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უმოქმედო სესხების წილი ჯამურად ბიზნეს სესხებში უმნიშვნელოდ, 2.95%-მდე, გაიზარდა. ვალუტების ჭრილში, უმოქმედო სესხების წილი ეროვნული ვალუტით გაცემულ ბიზნეს სესხებში მცირედით 2.6%-მდე გაიზარდა. ხოლო, აშშ დოლარით გაცემულ ბიზნეს სესხებში უმოქმედო სესხების წილი არ შეცვლილა და 2.9% შეადგენს. რაც შეეხება ევროში გაცემულ სესხებს, უმოქმედო სესხების წილი ამ შემთხვევაში 3.6%-მდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა 4). საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, საბანკო სექტორის წარმომადგენლები მომდევნო კვარტალში მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებში უმოქმედო სესხების წილის მცირედით ზრდას, ხოლო მსხვილ ბიზნეს სესხებში აღნიშნულის ცვლილებას არ მოელოან.


2025 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი მსხვილ ბიზნეს სესხებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებში გაიზარდა. პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი ეროვნული ვალუტით გაცემულ მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებში, 9 პპ-ით 29%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 1.3 პპ-ით 10.9%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება მსხვილ ბიზნეს სესხებს, პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი ლარში

⁴ საპროცენტო განაკვეთი თვის შიგნით გაცემულ მცირე და საშუალო და მსხვილი ბიზნეს სესხების ნაკადებზე.

⁵ უნდა ითქვას, რომ 2023 წლის ივნისიდან, მესამე კვარტალის ანგარიშში, სესხების ხარისხის მაჩვენებლები მოცემულ და შემდეგ ნაწილში დათვლილია IFRS-9-ის მიდგომის შესაბამისად.

0.15 პპ-ით გაიზარდა, 0.99%-მდე, ხოლო უცხოურ ვალუტაში აღნიშნული 0.2 პპ-ით, 0.5%-მდე შემცირდა (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4. ბიზნეს სესხებში უმოქმედო⁶ და უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი




წყარო: სეზ.

⁶ უმოქმედო სესხების მაჩვენებლები 2023 წლის ივნისამდე ეროვნული ბანკის მეთოდოლოგიით არის დათვლილი. ხოლო ივნისიდან მოყოლებული აღნიშნული IFRS 9-ის მეთოდოლოგიას ეფუძნება.

ფიზიკური პირების დაკრედიტების პრობები და ტენდენციები

საკრედიტო პრობების კვლევის მიხედვით, 2025 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნა მცირედით გაიზარდა. რესპოდენტების აზრით, მომდევნო კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნის ზრდა კვლავ მოსალოდნელია. ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების გაწლიურებულმა ზრდის ტემპმა⁷ 17.9% შეადგინა (იხ. დიაგრამა 5). ვალუტების ჭრილში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ზრდა მნიშვნელოვანწილად კვლავ ეროვნული ვალუტით გაცემულმა სესხებმა განაპირობა. საბანკო სექტორის წარმომადგენლები მომდევნო კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნის ზრდას კვლავ მოელიან.

დიაგრამა 5. ფიზიკური პირების სესხებზე მოთხოვნისა და საკრედიტო პრობების ცვლილება⁸



წყარო: საკრედიტო პრობების კვლევა, სეზ.


2025 წლის პირველ კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის დაკრედიტების პრობები უმნიშვნელოდ გამკაცრდა. რესპოდენტების პასუხების მიხედვით, დაკრედიტების პრობების გამკაცრებას რისკისადმი მიდრეკილების შერბილება განაპირობებდა. ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2025 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, სესხის ვადიანობა იპოთეკური სესხებისთვის თითქმის არ შეცვლილა. უნდა აღინიშნოს, ისიც რომ სესხის უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტის განაწილების შემთხვევაში წინა კვარტალთან შედარებით, შემცირდა იმ სესხების წილი რომელთა LTV 50%-ზე

⁷ აღნიშნული მონაცემი ასახავს გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სეზონურად შესწორებული სესხების გაწლიურებულ ზრდას.

⁸ იხ. დიაგრამა 1-ის მეორე შენიშვნა.


მეტია. სესხის მომსახურების კოეფიციენტის (PTI) შემთხვევაში, გაიზარდა იმ სესხების წილი, რომელთა PTI 50%-ზე მეტია. მთლიანობაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, დაკრედიტების პრობები უმნიშვნელოდ გამკაცრდა (იხ. დიაგრამა 6-8). რესპოდენტები მომდევნო კვარტალში დაკრედიტების პრობების ცვლილებას არ მოელიან.

დიაგრამა 6. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების დაკრედიტების პრობების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები⁹



წყარო: საკრედიტო პრობების კვლევა

დიაგრამა 7. სესხის მომსახურების (PTI) და უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტების განაწილება




წყარო: სეზ.

საპროცენტო განაკვეთები ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის მცირედით გაიზარდა. კერძოდ, მარტში ეროვნული ვალუტით გაცემული სამომხმარებლო სესხებისთვის საპროცენტო

⁹ იხ. დიაგრამა 2-ის შენიშვნა.

განაკვეთი 17.6%-ის ფარგლებშია. ლარში გაცემული იპოთეკური სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთი 13.4%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება უცხოური ვალუტის სესხებს, საპროცენტო განაკვეთი აშშ დოლარით გაცემული იპოთეკური სესხებისთვის 0.4 პპ-ით გაიზარდა და 8.5% შეადგენს, ხოლო ევროთი გაცემული სესხებისთვის აღნიშნული 6.9%-ის ფარგლებშია (იხ. დიაგრამა 8). გამოკითხულთა აზრით, მომდევნო კვარტალში იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთების მცირედით ზრდაა მოსალოდნელი.

დიაგრამა 8. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი და საკონტრაქტო ვადიანობა¹⁰



წყარო: სტბ.

2025 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უმოქმედო სესხების წილი¹¹ ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებში უმნიშვნელოდ გაიზარდა. კერძოდ, ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, უმოქმედო სესხების წილი იპოთეკურ სესხებში უმნიშვნელოდ შემცირდა 1.6%-მდე, ხოლო სამომხმარებლო სესხებში აღნიშნული მცირედით გაიზარდა 2.4%-მდე. ვალუტების ჭრილში, ევროთი გაცემულ იპოთეკურ სესხებში უმოქმედო სესხების წილი შემცირდა 2.3%-მდე, ხოლო დოლარში აღნიშნული 1.9%-მდე შემცირდა. რაც შეეხება ეროვნული ვალუტით გაცემულ იპოთეკურ სესხებს, უმოქმედო სესხების წილი შემცირდა 1.4%-მდე (იხ. დიაგრამა 9). საბანკო სექტორის წარმომადგენლები 2025 წლის მეორე კვარტალში სამომხმარებლო სესხებში უმოქმედო სესხების წილის ზრდას არ მოელოდნენ.


2025 წლის პირველ კვარტალში უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი გაიზარდა. პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი ეროვნული ვალუტის სამომხმარებლო სესხებში 49%-მდე გაიზარდა. იპოთეკურ სესხებში,

¹⁰ საპროცენტო განაკვეთი ფიზიკურ პირებზე თვის შიგნით გაცემულ სესხების ნაკადებზე.

¹¹ უმოქმედო სესხების მაჩვენებლები 2023 წლის ივნისამდე ეროვნული ბანკის მეთოდოლოგიით არის დათვლილი. ხოლო ივნისიდან მოყოლებული აღნიშნული IFRS 9-ის მეთოდოლოგიას ეფუძნება.

უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი, ეროვნული ვალუტით 35%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით, 28%-მდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9. უმოქმედო და უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებში



წყარო: სეზ

პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადი

ანგარიში მომზადდა საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტის ფინანსური სტაბილურობის ანალიზისა და მაკროფინანსური მოდელირების განყოფილების მიერ. ამ ანგარიშში წარმოდგენილი მოლოდინები ასახავს მხოლოდ საკრედიტო პირობების კვლევის რესპოდენტთა შეფასებას დაკრედიტების მომავალ ტენდენციაზე და არა ეროვნული ბანკის წარმომადგენელთა მოლოდინებს. ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკა დაკრედიტების მიმდინარე ტენდენციაზე განკუთვნილია მხოლოდ მიმდინარე ანალიტიკური მიზნებისთვის, რადგანაც აქ წარმოდგენილი ზოგიერთი მონაცემი შესაძლოა დაექვემდებაროს პერიოდულ გადახედვას და შესაბამისად, ისინი შეიძლება შეიცავდეს გაზომვის ცდომილებებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზომაა მიღებული მონაცემთა დროულად, კორექტულად და სრულყოფილად წარმოსადგენად, საქართველოს ეროვნული ბანკი არ იძლევა გარანტიას მონაცემთა სრულ სიზუსტეზე. მიმოხილვაში გამოქვეყნებული ზოგიერთი მონაცემი შესაძლოა განსხვავდებოდეს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე "სტატისტიკის" რუბრიკაში გამოქვეყნებული მონაცემებისგან, რადგანაც გაანგარიშებებში გამოყენებულია საზედამხედველო მონაცემები.

მონაცემები წარმოდგენილია 31/03/2025-ის მდგომარეობით.

დამატებითი კითხვებით შეგიძლიათ მიმართოთ ბექა გურგენიძეს

ელ-ფოსტა: Beka.gurgenidze@nbg.gov.ge ტელ: (+995) 555 173618



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველო, თბილისი 0114, სანაპიროს 2

(995 32) 2 406 406

info@nbg.ge; www.NBG.ge